



## ეკონომიკა

**Fitch-მა საქართველოს პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა და სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB-ზე დაადასტურა 2023 წლის 27 იანვარს.** Fitch-ის მიხედვით, პოზიტიური პერსპექტივა ნაწილობრივ ასახავს 2022 წელს რეალური მშპ-ს შთამბეჭდავ ზრდას, საერთაშორისო რეზერვების დაგროვებას და ფისკალურ სიჯანსაღეს. ამასთან, Fitch-ი ხაზს უსვამს, რომ 2022 წელს საქართველოს მთავრობამ შეინარჩუნა ჯანსაღი მაკრო-ფისკალური პოლიტიკა შედარებით მკაცრი მონეტარული პოლიტიკით, ფისკალური დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი შემცირებით. Fitch-ის პროგნოზით, საქართველოს რეალური მშპ 4.5%-ით გაიზრდება 2023 წელს, ხოლო 5.0%-ით 2024 წელს. სააგენტოს მოლოდინით გასული წლის მიგრანტებისა და კაპიტალის შემოდინება მკვეთრად არ შეიცვლება, რადგან უკრაინაში გახანგრძლივებული ომის პირობებში მიგრანტები უფრო ინტეგრირებული იქნებიან საქართველოს ეკონომიკაში.

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 4.0%-ით გაიზარდა 2022 წლის დეკემბერში (+2.7% თ/თ), წინა თვის 5.4%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 44.8 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიური ზრდა დეკემბერში 12.1%-მდე შენედა (+2.4% თ/თ), რაც ძირითადად გასული წლის მაღალი ბაზით იხსნება. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 8.7% იყო (+10.0% ნოემბერში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიურმა ზრდამ 15.4% (+17.3% ნოემბერში) შეადგინა; აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელი წლიურად 12.2%-ით გაიზარდა, წინა თვის 13.6%-იანი ზრდის შემდეგ. 2022 წლის დეკემბერში სესხების დოლარიზაცია 44.3%-მდე შემცირდა (-6.23პპ წ/წ და -0.32პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.7%-ს გაუტოლდა (-0.22პპ წ/წ და -0.22პპ თ/თ), რაც ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების წლიური ზრდა მაღალ დონეზე შენარჩუნდა, 29.6%-ით გაიზარდა 44.3 მლრდ ლარამდე 2022 წლის დეკემბერში (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ვალუტების მიხედვით, დეკემბერში ლარის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 30.3% (+30.6% წინა თვეში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 29.2% შეადგინა, წინა თვის მსგავსად. ამასთან, დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციის შემცირება გაგრძელდა და 56.1% შეადგინა (-3.82პპ წ/წ და -0.62პპ თ/თ).

**თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება:** საქსტატის მიხედვით, 2022 წლის მე-4 კვარტალში თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი წლიურად 14.3%-ით გაიზარდა, წინა კვარტალში დაფიქსირებული 10.7%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, სეგმენტების მიხედვით - მრავალსართულიანი ბინების ფასები წლიურად 12.5%-ით (+10.9% წინა კვარტალში), ხოლო კერძო სახლების ფასები წლიურად 18.0%-ით გაიზარდა (+10.0% წინა კვარტალში). ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით, 2022 წლის მე-4 კვარტალში ფასები 3.8%-ით გაიზარდა მრავალსართულიანი ბინების სეგმენტში, ხოლო კერძო სახლების ფასების ზრდამ 8.9% შეადგინა, რამაც მთლიანი საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის 5.5%-იანი კვარტალური ზრდა განაპირობა.

გათხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


### ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.5%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,023
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.7%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი

\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



### სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია





# ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 24 იანვარს 10-წლიანი 60 მლნ ლარის (22.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.6-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.1173პ-ით შემცირდა და 8.812% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 31 იანვარს, სადაც 5-წლიანი 90 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

მადიანობა	გამოშვება დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	20	220	120
1-წელი	20	220	295
2-წელი	43	440	1,197
5-წელი	0	1,080	3,598
10-წელი	60	660	1,596
<b>სულ</b>	<b>143</b>	<b>2,620</b>	<b>6,806</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 96.69 (+0.53% წინა კვირასთან შედარებით), 9.32%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 88.29 ფასად (-0.04% წინა კვირასთან შედარებით), 6.62%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 92.18 (+0.44% წინა კვირასთან შედარებით), 5.42%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

#### ვერობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	92.18	5.42	169.19
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/-	88.29	6.62	321.62
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	n/a	n/a	31.02
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/-/-	99.10	12.32	721.24
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	96.69	9.32	457.19
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	98.28	8.90	528.25
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.30	7.05	243.77
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/-/-	93.29	13.30	1,099.75

#### ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.90	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.49	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	97.35	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.77	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.73	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.37%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	n/a	n/a	-/-/-

წყარო: Bloomberg



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 26.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.37% წინა კვირასთან შედარებით და +4.68% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 217 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 25.80 - 27.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 61 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 23.60 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.51% წინა კვირასთან შედარებით და +7.27% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 189 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 22.20 - 24.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.67% წინა კვირასთან შედარებით და +0.67% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 118 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.38 - 7.59 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 26 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	26.85	1,320	88.0%	80.7%	3.1%	4.58x	3.41x	4.43x	1.06x	1.06x	0.88x
TBC	TBC	GBP	23.60	1,302	83.8%	65.7%	4.0%	4.75x	4.50x	4.24x	1.04x	0.97x	0.84x
Halyk Bank	HSBK	USD	10.66	2,907	18.4%	-17.4%	-4.0%	2.60x	2.82x	2.85x	0.76x	0.72x	0.61x
Akbank	AKBNK	TRY	16.65	86,580	88.6%	114.6%	-14.8%	6.04x	1.51x	2.27x	0.96x	0.68x	0.57x
Garanti	GARAN	TRY	23.82	100,044	58.2%	99.8%	-20.7%	7.12x	1.86x	2.38x	1.20x	0.75x	0.58x
Isbank	ISCTR	TRY	10.89	49,005	112.3%	196.9%	-14.7%	2.87x	0.93x	1.14x	0.99x	0.53x	0.46x
PKO	PKO	PLN	32.22	40,275	26.4%	-33.1%	6.4%	6.63x	11.21x	6.35x	0.86x	1.16x	1.01x
PEKAO	PEO	PLN	91.48	24,011	29.2%	-32.2%	5.8%	9.22x	7.75x	5.93x	0.84x	1.04x	0.90x
Millennium	MIL	PLN	4.79	5,806	39.5%	-43.7%	4.5%	na	2.47x	2.78x	0.81x	1.23x	0.98x
Mbank	MBK	PLN	317.40	13,453	54.2%	-30.7%	7.2%	na	na	8.55x	0.83x	1.08x	0.91x
BRD	BRD	RON	13.66	9,520	7.4%	-30.2%	5.1%	6.06x	7.50x	6.57x	0.81x	1.51x	1.15x
Banca Transilvania	TLV	RON	20.10	126,861	0.6%	-13.5%	0.9%	na	na	na	1.24x	1.40x	1.22x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	8.75x	8.49x	0.65x	0.66x	0.57x
Komerční	KOMB	CZK	725.00	137,786	13.3%	-24.1%	10.7%	11.10x	8.45x	8.95x	1.14x	1.15x	1.06x
<b>საშუალო</b>								<b>6.34x</b>	<b>5.10x</b>	<b>4.99x</b>	<b>0.94x</b>	<b>1.00x</b>	<b>0.84x</b>
<b>მედიანა</b>								<b>6.06x</b>	<b>3.95x</b>	<b>4.43x</b>	<b>0.91x</b>	<b>1.05x</b>	<b>0.89x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.55	352	22.4%	16.2%	3.4%	1.80x	4.22x	3.12x	0.41x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.44	452	-6.0%	-6.5%	-0.5%	13.85x	na	na	0.94x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	39.90	81,412	101.5%	161.1%	-11.5%	5.61x	2.19x	3.33x	1.31x	0.77x	0.71x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	29.75	559	11.2%	-20.6%	6.6%	2.57x	na	7.43x	0.68x	1.14x	0.89x
Eurazeo	RF	EUR	65.65	5,201	-0.8%	-8.3%	13.0%	2.91x	15.07x	10.36x	0.72x	0.75x	0.70x
Carlyle Group	CG	USD	35.46	12,635	-0.3%	-24.5%	18.8%	3.34x	8.19x	8.70x	1.87x	3.05x	2.43x
Wendel SE	MF	EUR	99.90	4,470	15.9%	3.5%	14.6%	3.45x	8.44x	8.21x	1.35x	1.60x	1.37x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.68	1,675	-1.2%	-4.8%	5.0%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	16.15	704	-0.3%	-4.4%	0.9%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.54	811	6.2%	8.6%	8.2%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.24	639	-19.7%	-28.9%	9.5%	3.10x	na	na	0.52x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.45	229	-4.1%	3.5%	-0.4%	1.78x	na	na	0.45x	na	na
<b>საშუალო</b>								<b>4.27x</b>	<b>7.62x</b>	<b>6.86x</b>	<b>0.92x</b>	<b>1.46x</b>	<b>1.22x</b>
<b>მედიანა</b>								<b>3.10x</b>	<b>8.19x</b>	<b>7.82x</b>	<b>0.72x</b>	<b>1.14x</b>	<b>0.89x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ





# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge